**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა**

**განკარგულება №07.04.155**

**2015 წლის 18 თებერვალი**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 75–ე მუხლის ,,ა.დ'' და ,,ე.თ'' ქვეპუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:**

1. შეიქმნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისია (შემდგომ ტექსტში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ნარმანია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი სოლომონია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ხელაია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ავთანდილ სუდაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) გურანდა რომანაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) ირაკლი ბერეკაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ლევან თევზაია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

თ) ბიძინა გიორგობიანი - ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ი) გიორგი გაგოშიძე – სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოს'' უფროსი, კომისიის წევრი;

კ) მალხაზ მჭედლიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრი;

ლ) გოჩა ბაბუნაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

მ) სოსო მანჯავიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის წევრი;

ნ) გიორგი ბაგრატიონი – შპს ,,თბილსერვის ჯგუფის'' დირექტორი, კომისიის წევრი;

ო) ლევან ჯღარკავა – შპს ,,თბილსერვის ჯგუფის'' დირექტორის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

პ) თეიმურაზ მურღულია – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ჟ) დიმიტრი ქუმსიშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

რ) თამთა ოტიაშვილი - ეკონომიკური საბჭოს აპარატის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მრჩეველი, კომისიის წევრი;

ს) ალექსანდრე ტაბატაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ტ) გიორგი ამაშუკელი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

უ) მაგდა ბოლოთაშვილი - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

ფ) გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ქ) კომისიის მდივანი - ირინა ჭეიშვილი - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე.

2. დამტკიცდეს კომისიის საქმიანობის თანდართული წესი (დანართი №1).

3. მოწონებულ იქნას საქართველოს პრემიერ–მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოსთან და შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტი (დანართი №2).

4. ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2015 წლის 1 მარტისა.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე ეთხოვოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

დავით ნარმანია
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის საქმიანობის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერეტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

2. ინტერესთა გამოხატვის მიზანია, მოიზიდოს ინვესტორი ქ. თბილისში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად.

3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ან იურიდიულ პირთა გაერთიანებას (შემდგომში - პირები), რომელიც აკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით და წინამდებარე წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ქ. თბილისში ოფიციალურ ნაგავსაყრელს მართავს ქ. თბილისის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი" (შემდგომში – მუნიციპალური კომპანია).

5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს ავლენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შექმნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისია (შემდგომში - კომისია).

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მუნიციპალურ კომპანიასა და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს (პირებს) შორის ფორმდება მემორანდუმი, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საჭიროებისამებრ შესაძლებელია მემორანდუმს მხარედ დაემატოს სხვა პირები.

7. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დასადები მემორანდუმის პროექტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უთანხმებს საქართველოს მთავრობას და მთავრობის მიერ მოწონების შემთხვევაში ხორციელდება მისი ხელმოწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და განკარგულებებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებებით, ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით და ამ წესით.

9. კომისიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ფორმა განისაზღვრება ამ წესით.

10. მოთხოვნები ინტერესთა გამოხატვაში დაინტერესებული პირ(ებ)ის მიმართ, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენის პირობები, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები, მემორანდუმის პირობები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალური კომპანიის უფლებები და ვალდებულებები მოცემულია ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტში.

**მუხლი 2. კომისიის ძირითადი ამოცანები**

1. კომისიის ძირითადი ამოცანებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შესწავლა, განხილვა და წარდგენილ განაცხადთა შეფასების შედეგად საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა.

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, დადგენილი წესით, წარედგინება თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მოსაწონებლად.

**მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება**

კომისია უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოითხოვოს და მიიღოს კომისიის საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები;

ბ) დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით შექმნას სამუშაო ჯგუფები და განსაზღვროს მათი შემადგენლობა, მოიწვიოს ექსპერტები და სხვა პირები სათანადო რეკომენდაციების მიღების მიზნით;

გ) კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

დ) დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;

ე) დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომელიც ინტერესის გამოხატვაზე განაცხადში დაამახინჯებს არსებულ ფაქტებს;

ვ) უკან გამოიწვიოს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძვლით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესითა და ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

## მუხლი 4. კომისიის სტრუქტურა

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს კომისიის სხდომის დღის წესრიგს;

გ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის დავალებით – კომისიის ერთ-ერთი წევრი.

3. კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;

ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენის, სხდომის მასალების შენახვისა და დაცვისათვის.

## მუხლი 5. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომა იმართება პერიოდულად. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან კომისიის წევრის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის წესით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და კომისიის მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კომისიის ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავშეკავების, უარის თქმის მიზეზი ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

5. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, კომისიის წევრები და კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები კომისიის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ პირადად.

## მუხლი 6. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.